

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდებელი მოსახლეობისთვის**

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 26-31, მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

მანანა კობახიძე 598 24 94 97

მეთერთმეტე წელია, ჩვენი ქალაქი შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. ხუთი დღის განმავლობაში, კლასიკური მუსიკის ეპიცენტრად ქცეულ ბათუმში, კვლავ გზემობთ დიდი ხელოვნების შემოხარბნებას

ფესტივალი იუნესკოს მშვიდობის არტისტის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით ტარდება და მისი ტრადიციული მხარდაჭერები არიან საქართველოს მთავრობა, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი.

გახსნის დღეს დარბაზს ფესტივალის დამფუძნებელი ელისო ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ხაჩიშვილი, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მიესალმნენ.

საღამოს ყურნალისტი ბერდია კუტუბიძე უძღვებოდა. როგორც აღინიშნა, ფესტივალი უკვე ათჯერ ჩატარდა და ამ ხნის განმავლობაში 80-ზე მეტი კონცერტი გაიმართა, რომელშიც ქართველი და უცხოელი ცნობილი ხელოვნები მონაწილეობდნენ. მისი მთავარი მიზანია ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება, კულტურული ინტეგრაცია. ფესტივალი, ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან მუსიკალურ პლატფორმას ნორჩი ტალანტებისთვის. ფონდ „ლირას“ ხელშეწყობით, ახალგაზრდა ქართველ მუსიკო-



სებს სისტემატურად იწვევენ ევროპის ქვეყნებში მასტერკლასებსა თუ ექსკლუზიურ გალერე კონცერტებში მონაწილეობისთვის.

როგორც გასულ წლებში, წელსაც ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია. ხელოვნები იტალიიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან, ჩინეთიდან, ქართველ მუსიკოსებთან ერთად, საერთო დირექტორების ირგვლივ - კულტურისა და ხელოვნების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გაერთიანდნენ და საღამოებზე მოსულ მსმენელს ამ ღამეზე სამყაროს მუსიკის ენით უზიარებენ. სწორედ ეს ქმნის დაუვიწყარ ემოციებს.

ფესტივალის ერთ-ერთი ღირებ-

ულეა შემეცნებაა. ამიტომ წელსაც ახალგაზრდა პიანისტებს და მეგობრებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაესწრონ პროფესიონალების მიერ ჩატარებულ მასტერკლასებს, რაც შემოქმედებითი მუხტის ამაღლების გარდა, დიდი წარმატების წინაპირობაცაა.

სიამაყით შეიძლება აღინიშნოს, რომ ბათუმის შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელმაც წელს მერვედ მოიპოვა იუნესკოს მაღალი პატირონაჟი. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ წელს, იუნესკოს გადაწყვეტილებით, ბათუმის ფესტივალი პრიორიტეტულ კულტურულ საე-

რთაშორისო ღონისძიებათა ნუსხაში შევიდა, ანუ ამიერიდან უწყვე-



ტი პატრონაჟით ისარგებლებს. სწორედ ამ ფესტივალის დამსახურებაა, რომ 2021 წელს ბათუმს იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქის წოდება - „მუსიკალური ბათუმი“ მიენიჭა.

აღნიშნეთ ბათუმის შავი ზღვის ფესტივალის მეთერთმეტე სეზონის დაწყება. მისი პირველი მხარდაჭერი იყო ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მთლიანად იყო ჩართული ორგანიზებასა და ჩატარებაში. ეს ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელიც იუნესკოს მაღალი პატირონაჟით ტარდება. წელს ივლისში მან უწყვეტი მხარდაჭერა მიიღო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა მნიშვნელოვანი სიხარულე გვაქვს, ეს არის ახალგაზრდა პიანისტების კონკურსი, რომელიც ფონ-

ში იშობუა ჰიდუკი, იტალიის ელჩის მოადგილე ფაბიოლა ალბანეზე.

რაც შეეხება გახსნით კონცერტს, მასში მონაწილეობდნენ იტალიელი კლარნეტისტი, მანსტრო კლაუდიო მანსუტი, მონტე-კარლოს მსოფლიო კონკურსის გრან პრის მფლობელი ვირტუოზი არისტო შამი. ერთმა მოცარტის ნაწარმოებთ დაატკბო მსმენელი, მეორემ - საფორტეპიანო მუსიკის შედეგით - რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტით.

ორკესტრის მანსტრო დავით მუქერია ხელმძღვანელობს. ერთი ნაწარმოები სწორედ ორკესტრმა შემოგვთავაზა და პროფესიონალიზმისთვის მსმენელის მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

ნ. კ. 33-5 33.



ISSN 2720-8702

9 772720 870003

### გამოირჩეატი გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.









# როგორ ემზადებიან სკოლები ახალი სასწავლო წლის დასაწყებად?

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

ახალი, 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტიური სამზადისა - საკლასო ოთახები წესრიგდება, მასწავლებლები სამუშაო გეგმებს ადგენენ და აქტივობებს გეგმავენ. გარდა ამისა, როგორც წესი, სკოლებში სასწავლო წლის პირველ დღეს საზეიმო ღონისძიებები ეწყობა, გარემო სადღესასწაულოდ ირთვება

როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პრესსამსახურში გვითხრეს, 2023-2024 წლებში 5 სკოლა და 3 სპორტდარბაზი აშენდა, ასევე, 62 სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა. ამ დროისთვის მიმდინარეობს 6 სკოლის დარბაზის მშენებლობა და 20 სკოლის რეაბილიტაცია. სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაო მიმდინარეობს ჭიხანჭურის, ბათუმის №7, კვაშტის, პირველი მაისის, ზემო წინსვლისა და აგარის სკოლებშიც.

„აქარა“ დაინტერესდა, კონკრეტულად როგორ ემზადებიან ახალი სასწავლო წლისთვის ბათუმის საჯარო სკოლებში. ამის გასარკვევად დირექტორებს დავეუკავშირდით.

**მარიამ აბაშიძე, №2 საჯარო სკოლის დირექტორი:**

- წელს ავტორიზაციისთვის ვემზადებით, რომლის სტანდარტი კომპლექსურ შემოწმებას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, სათანადო დოკუმენტაცია:



სასკოლო სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები, ხელშეკრულებები, ოქმები, აქტები მოგაწესრიგეთ. სასწავლო წლის დასაწყისისთვის ჩავატარებ პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სამეურვეო საბჭოს შეკრება და კანონმდებლობით დადგენილი ყველა საფეხური გავიარებ. სკოლის ინფრასტრუქტურასაც, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ექცევა. მოგეხსენებათ, ჩვენთან რემონტი ახალგაკეთებულია, აქედან გამომდინარე, მხოლოდ დალაგება-დასუფთავებას დასჭირდა განსაზღვრული დრო. გარდა ამისა, საბუნებისმეტ-

ყველო ლაბორატორიაც გაგმართეთ. იჯარით გაქირავდა ფართი როგორც ბუფეტის, ასევე, ქორეოგრაფიული, ხელოვნებისა და მუსიკალური წარმართვის. მოსწავლეებს უკვე დაურიგდა სახელმძღვანელოები. პირველკლასელებისთვის მიღებული გვაქვს ლეპტოპები და სწავლის დაწყების პირველ დღეს მათ საზეიმო ვითარებაში გადავცემთ. ერთი სიტყვით, სკოლა სრულ მზადყოფნაშია ახალი სასწავლო წლის დასაწყებად. ფაქტობრივად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა რგოლი ჩართულია მოსამზადებელ

საქმიანობაში და სათანადოდ ვხვდებით ახალ სასწავლო წელს.

**გიორგი შოთაბაძე, №16 საჯარო სკოლის დირექტორი:**

- მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს სკოლის მშენებლობა, რომელიც დაახლოებით ერთ თვეში - სექტემბრის ბოლოს დასრულდება. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, თავიდანვე ჩვენს სკოლაში დავიწყოთ სწავლა და 16 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, 15 სამუშაო დღის განმავლობაში, სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში წარმართოთ, 4 ოქტომბრიდან კი სკოლა საზეიმოდ გაიხსნება და გვექნება სკოლის სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული შენობა.

**ინა ჩაღუნელი, №3 საჯარო სკოლის დირექტორი:**

- სკოლა მზადაა ახალი სასწავლო პროცესის დასაწყებად. მოწესრიგებულია საკლასო ოთახები, მომარაგებულია საკანცელარიო, ჰიგიენური საშუალებები და სხვა საჭირო რესურსები. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ სამინისტროს მხარდაჭერით, სკოლის ეზოში შენდება ახალი სასწავლო დანიშნულების კორპუსი, რომელიც 18 თვეში დასრულდება. სკოლის პერიმეტრზე მოეწყო ახალი ეზო, რომელიც ალტურგიულია განათებით, წყლითა და გამწვანებით. გაკეთდა ეზოში ჩასასვლელი პანდუსი, ამოღდა ღობე და თითქმის სრულდება ეზოს მოპირკეთება. მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს შეხვდნენ ახალ, უსაფრთხო გარემოში, რისთვისაც მადლობას ვუხდით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, მადლობა დაუდლავი შრომისთვის სამშენებლო კომპანია შპს „ალიგატორს“.

## შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

პირველი გვერდიდან

მეორე დღეს ბუბლიკის წინაშე წარსდგნენ პიანისტი ბარბარე თათარაძე, ბათუმის საფესტივალო

გაზრდა. მოხარულები ვართ, რომ ბათუმი ასეთ მნიშვნელოვან ფესტივალს მასპინძლობს, მადლობა ქალბატონ ელისოს და ყველას, ვინც

ნაყთ სარგებლობს. ჩვენმა ქალაქმა არაერთი მიმართულებით მიაღწია წარმატებას. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ელისოს ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის და გამორჩეულად, ამ ფესტივალის ორგანიზებისათვის. აქ მსოფლიოში აღიარებულ მუსიკოსებს ვხვდებით და მათი მაღალი ხელოვნებით სიამოვნებას ვიღებთ. ფესტივალი წელს ახალგაზრდებს წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს, მასტერკლასებში მონაწილეობა კი დამატებითი სტიმულია ნაყოფიერი შემოქმედებისთვის. ბუნებრივია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია კვლავ განაგრძობს ფესტივალის მხარდაჭერას. მადლობა მის ორგანიზატორებს ასეთი შესანიშნავი დღეებისათვის, ყველა შემსრულებელს კი წარმატებას ვუსურვებ, - თქვა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

მას გვერდით უდგას, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი უკვე ჩვენი ქალაქის შემადგენელი ნაწილი გახდა. იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ უკვე იუნესკოს მუდმივი მაღალი პატრო-



ორკესტრი კრისტინა ლუპესის დირიჟორობით. მათი გამოსვლა მსმენელმა გულთბილად მიიღო.

- ფესტივალი შესაძლებლობას გვაძლევს, ვეზიაროთ იმ ხელოვანთა ნაწარმოებებს, რომელთაც მსოფლიო შედეგები შექმნეს, გავიცნოთ ახალი ტალანტები. გვყავს კიდევ ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალ-



## ვაუჩერები გადაესათ

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მოადგილე ლელა სურმანიძესთან ერთად, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, 100 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც 5 და მეტი შვილი ჰყავთ, 400-ლარიანი ვაუჩერები, ხოლო დედამამთ ობოლ ბავშვებს 200-ლარიანი ვაუჩერები გადასცა. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სასკოლო ნივთებისთვის ვაუჩერების გადაცემა ბათუმის მერიისა და წითელი ჯვრის თანამშრომლების ფარგლებში განხორციელდა.



## საოჯახო-სასტუმრო სახლების ნაგებობის პროექტი დაიწყო

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, აჭარაში საოჯახო-სასტუმრო სახლების წახალისებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი პროექტი „კარგი მასპინძელი“ დაიწყო

იგი ევროპული მოდელის „Good Host“-ის ანალოგია და მიზნად ისახავს ქალაქკარგი გამორჩეული სტუმართმასპინძლობის, ავთენტური გარემოს, ვიზუალის მქონე საოჯახო-სასტუმროების პოპულარიზაციასა და სტიმულირებას, განავითარონ ტურისტული ბიზნესი. უწყების ინფორმაციით, პროექტი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროექტების განვითარების სააგენტომ ევროპის სოფლის ტურიზმის ფედერაციასა და ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოამზადა. „საოჯახო-სასტუმრო სახლების მასტიმულირებელი პროექტი „კარგი მასპინძელი“ აჭარაში პირველად ხორციელდება და მასში ჩართვა ნებაყოფლობითია. „კარგი მასპინძელი“ სტატუსის მისაღებად საჭიროა, მასპინძელი ფლობდეს მოწესრიგებულ საოჯახო-სასტუმრო სახლს, ქმნიდეს დასვენებისთვის საჭირო პირობებსა და კომფორტულ გარემოს, ზრუნავდეს სერვისის გაუმჯობესებასა და ავთენტური გარემოს შენარჩუნებაზე“. - ვკითხულობთ ინფორმაციას.





# „კერამიკის ალქიმი“ – ფესტივალის დანიშნულებას ამარტობს

ბრილის თხა, მისი სამრეწველო დანიშნულების პროდუქციად გამოყენება წლებია, დღის წესრიგში დგას. ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო აქტიური სამუშაოები ამ მიმართულებით, თუმცა...

2017 წლიდან ბრილის თხის ათვისებაზე მუშაობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მხატვარ-კერამიკოსმა ლია კასპელაშვილმა წამოიწყო. მის მიერ პირველ წელსვე ჩატარებულ კერამიკის ფესტივალს ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული პირების სახით მხარდაჭერები გამოუჩინდნენ. ქალბატონმა ლიამ ცალკეული პროექტების მოზიდვით, ენერჯული მუშაობით, მხატვარ-კერამიკოსების გიორგი პაჭკორიას, შვილის, ბექა ტაბაღას მხარდაჭერით, ბრილის თხის პირველადი დამუშავების საწარმოს აშენება შეძლო. ფესტივალის ჩატარების შემდეგ, ბრილის თხისადმი ინტერესმა იმატა. ადგილობრივიდან ყველაზე დიდი მხარდაჭერები მიხეილ ზოიძე და მისი შვილი თენგი ალმონდინი. ლიამ და მისმა პარტნიორებმა, პრაქტიკულად საქმეებთან ერთად, მეცნიერული ხასიათის კვლევებიც დაიწყეს. ინიციატიური უკვე აკადემიური დოქტორის ხარისხის მოპოვებაზე მუშაობს.

წელსაც სოფელ ბრილში ფესტივალის „კერამიკის ალქიმი“ ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბათუმელი და შუახველი მოსწავლეები ერთმანეთს გვერდ-გვერდ ფუსფუსებდნენ, ბრილის თხისგან სხვადასხვა ნივთს ძეგლავდნენ. ჩატარდა არაერთი აქტივობა, გაიმართა საჯარო ლექციები, მასტერკლასები ბრილის კერამიკულ სახელოსნოში. მონაწილეები ნივთების გამოწვისა და შემდგომი დამუშავების პროცესებშიც ჩაერთნენ.

დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლეებს მიესალმნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მია ხაჭიშვილი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, ლია კასპელაშვილი. მათ ისაუბრეს ფესტივალის დანიშნულებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე.

გთავაზობთ ფესტივალის ორგანიზატორისა და მონაწილეების შთაბეჭდილებებს.

**ლია კასპელაშვილი:** - ფესტივალის „კერამიკის ალქიმი“, რომელიც 2017 წლიდან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მოქმედებს, თანდათანობით სოციალურ პროექტში გადაიზარდა. მისი პირველი შედეგია სახელოსნო, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს შესამატებელი, მაგრამ არ ვჩერდებით. ფესტივალზე მრავალფეროვნებას იძენს. ჩვენი მისი-



აა, ჭვანის ხეობის მშენიერ სოფელ ბრილის მოსახლეობის ჩართულობა, მათი ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება. მაქსიმალურად ვცდილობ, მოვიძიო შესაბამისი პროექტები, რაც სოფლად ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს. მისი სათავე კერამიკული ფესტივალი იქნება. წელს საერთაშორისო კერამიკოსების ნაცვლად მენტორები სოფელ ბრილის ახალგაზრდები იყვნენ. ისინი ინტეგრირებულად მუშაობენ ჩვენს მოსწავლეებთან, ახალგაზრდებთან. წლებადელი ფესტივალის ფარგლებში, მათ 12 დღე გაატარეს ერთად, აქედან 7 დღე ვიყავით ბათუმში. ჩავატარე ორი თეორიულ-საგანმანათლებლო ლექცია. პირველი - თანამედროვე ქართულ კერამიკას ეძღვნებოდა, მეორე - „კერამიკას და ქიმიის საიდუმლოებები“. 14 წლის წინ სოფელ ბრილის სკოლაში 100-მდე მოსწავლე იყო, წელს - 21-ია. მათგან რამდენიმესაც თუ დავაინტერესებთ ამ ბუნებრივი რესურსის ადგილზე დასაქმებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით გამოყენებაში, ჩავფიქროვებ, რომ ფესტივალი იქცა გრანდიოზულ სოციალურ პროექტად, რომელიც სერიოზულ მიზნებს მოემსახურება. საქართველოში ადგილობრივი „ველური თხის“ მრავალი საბადო გვაქვს. აქაური საბადოც მათ რიცხვშია. ბრილში წამოწყებულ ფესტივალს სამი მიმართულება აქვს: კულტურული ტურიზმის განვითარება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი. როგორც მეცნიერი თანამშრომელი, ვიკვლივ აჭარის თხებს. ბრილის თხაზე ქალბატონმა მარია იზორიამ მიმანიშნა. ამის შემდეგ, გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ ნოდარ თოფურაძესთან ერთად, მივლი-

ნებით ვიყავი ბრილში. აღებულია თხის სინჯები, მიმდინარეობს კვლევები. ბრილის თხა აუცილებლად საჭიროებს გამდიდრებას. უტილიტარული ნაკეთობები რომ შევქმნათ ან სამშენებლო კერამიკა ვაწარმოთ, საამისოდ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკეთებელი.

**მაია ხაჭიშვილი:** - სამინისტროს ხელმძღვანელობა 10 წელია, ამ პროექტთან ვთანამშრომლობთ, რომელსაც „კერამიკის ალქიმი“ ეწოდება. პროექტმა მრავალი ახალგაზრდა მოიზიდა განათლებისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით და სოციალური სახეც შეიძინა. სოფელ ბრილში მოქმედებს



# „პეგასის“ გამარჯვებულები დააჯილდოვეს

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, პოეტ ნანა შანიძის ინიციატივით სათავე დაედო ლიტერატურული კონკურსის „პეგასის“. იგი პირველად 2019 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა. წელს კონკურსში აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის ნორჩი ავტორები ჩაერთნენ

მონაწილეებს აჭარის ღირსშესანიშნოები გააცნეს, ქედამ ი დაჯილდოების ცერემონიას უმსახვილდა.

- კონკურსი 5 ეტაპად ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა წარმოადგინეს ადგილზე შექმნილი ნაწარმოებები პროზასა და პოეზიაში. პირველი ტურის ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა, შემდგომი ტურები - ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტებში, სადაც კომპეტენტურმა ჟიურის ფინალისტები გამოავლენა. 9 სექტემბერს, ფინალის საუკეთესო ათეულში გასულები ქედის მუნიციპალიტეტში შეიკრიბნენ. ეს კონკურსი სხვა ლიტერატურული კონკურსებისგან არსებითად განსხვავდება, რადგანაც მონაწილეები ნაწარმოებებს ქმნიან განსაზღვრულ ვადებში, თანაც ადგილზევე, - გვითხრა ნანა შანიძემ.

დაჯილდოების ცერემონიაზე შეკრებილებს მიესალმნენ ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელიაძე,



ხულოს, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, ჟიურის თავმჯდომარე თამარ გულავა. ყველა მხარდაჭერს, ასევე,

პროექტის ორგანიზატორებს ნანა შანიძესა და რამაზ ხმალადეს მადლობის ბარათები გადაეცათ.

ჟიურის „პეგასი-2024“-ის გამარჯვებულ-

საწარმო, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულებაც ექნება, ითანამშრომლებს სკოლებთან, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, სწავლასთან ერთად ჩაერთონ სხვა აქტივობებში, აითვისონ ის ტრადიციული ტექნოლოგიები, რომლებიც ჩვენს რეგიონში თხის მოპოვება-დამუშავებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ პროექტს მომავალში, ახალ ფორმატში უფრო მეტ მხარდაჭერას გამოვუცხადებთ.

**ომარ ტაკიძე:** - ჭვანის ხეობას კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს. სხვა ლოკაციებთან ერთად, როგორებიცაა: ხაბელაშვილების ისტორიული ხის ხიდი, წისკვილების სოფელი, ჭვარბინდორი, ლელთის ტბა, ბრილის თხა, მისი მოპოვება-დამუშავება ჩაერთვება დიდ საქმეებში. კერამიკის ფესტივალზე ამ სიახლეების ხელშეწყობა. მისასალმებელია, რომ სოფელ ბრილის მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ამ პროექტში აქტიურადაა ჩართული. მწამს, რომ მომავალში ბრილი მიმზიდველი სოფელი გახდება, თუმცა სიღამაზე მას არც ახლა აკლია. მხედველობაში დიდი სოციალური პროექტის განხორციელება გვაქვს, რომლის აქტიური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა. მადლობის მეტი რა გვეთქმის ქალბატონ ლია კასპელაშვილისთვის. ასევე მისასალმებელია ადგილობრივი მკვიდრების - მიხეილ და თენგი ზოიძეების დაინტერესება.

**ლილე ხვიციანი, მომავალი კერამიკოსი:** - პირველად ვარ სოფელ ბრილში, პროექტშიც პირველად ჩაერთე ლია მასწავლებლის დამსახურებით. თანატოლებთან ერთად ოთხი დღეა, ბრილში ვიმყოფები და მრავალი სიხარლის მოწმე ვაგხდი. სამინისტროს, მერიის ხელმძღვანელობით დაწყებული და რიგითი ბრილიელი დამთავრებული, ყველა თხის სამრეწველო დამუშავებითა და ინტერესებული, რაც მისასალმებელია.

„თუ გინდა, ხალხს უყვარდე, ჯერ შენ უნდა გიყვარდეს ხალხი“

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

შუახვევის კულტურის ცენტრთან არსებული ავთენტური ანსამბლი „ჭვანა“ მაკედონიის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა. დელეგაციას შუახვევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მახსანდ მობრატაძე ხელმძღვანელობდა. იგი ჩვენი სტუმარია.

- ბატონო ვახტანგ, რა ფაქტორებით შეარჩიეთ ანსამბლი „ჭვანა“?

- ანსამბლი „ჭვანა“ დიდი ხანია არ ყოფილა გასტროლზე და გადავწყვიტეთ, ამჯერად ქართული ფოლკლორი უცხოეთში მას წარედგინა.

- ყველა საქმე მატერიალურ თანადგომასთანა დაკავშირებული...?

- უცხოეთში კვებას, ღამისთვის ხარჯებს მასპინძელი ქვეყნები უზრუნველყოფენ, ანსამბლის ტრანსპორტირება კი შუახვევის კულტურის ცენტრმა დააფინანსა.

- „ჭვანა“ რეპერტუარის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამჯერად როგორ სიმღერებს მიაჩნით უბირატსობა?

- დიახ, ანსამბლს მართლაც მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. მის ხელმძღვანელ ტარიელ ბოლქვაძის მოწოდებით აღადგინეს უძველესი სიმღერები, თუმცა ევროპის სცენაზე წარსადგენად უბირატსობა ისეთ რეპერტუარს მივანიჭეთ, რომელიც მომგებიანი იქნებოდა. უცხოელს ისეთი პროდუქტი უნდა მიწოდონ, მისთვის მარტივად აღსაქმელი რომ იყოს. სიმღერას ცეკვაც დაუერთეთ, კარგი გამოვიდა. ამ მიდგომამ ნამდვილად გაამართლა.



მე, ქართველების გამოსვლას ელოდებოდნენ. მათი ხანგრძლივი ტაში ყველაფერს ამბობდა. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ორგანიზატორები. ზოგადად, სოლო ნომრები ძალიან მომგებია სცენაზე. ბარემ გეტყვი, რომ მეც შევეუბრთდი ანსამბლს და პირველად...

და მზად არიან, ჯარისკაცებივით იდგნენ ადგილობრივი კულტურის საღარაგოზე.

- ფესტივალები, ოლიმპიადები, დათვალვები ხელს უწყობს ანსამბლების დამკვიდრებას...?

- არ ვიცი, იქაურ ანსამბლებთან სამომავლოდ რამდენად მოხერხდება ურთიერთობის გაგრძელება, თუმცა ორი ქართული ანსამბლი დავიმეგობრეთ - „თამარისი“ და „იმერეთი“. კარგი გოგო-ბიჭებითა და კომპლექტებული და სამომავლოდ კულტურული ურთიერთობების გაცვლაც დაიგეგმა. პირველი შეხვედრა, საგარეუოდ, იმერეთში გაიმართება.

- რომელ კულტურულ ღონისძიებას გამოარჩევთ თქვენი მონაწილეობით?

- როდესაც სცენაზე დგახარ, ორი მაყურებელია დარბაზში თუ ორი ათასი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ამიტომ მთებში გამართულ ღონისძიებებს გამოვარჩევ. აქ სულ სხვა სიხალისე გეუფლება ადამიანს, ღმერთთან სიახლოვე სულ სხვა ემოციაა. როდესაც ღონისძიება მიმყავს, სიტყვაუხვი ვხდები. როგორც წამყვანს, მსმენელს მაქსიმალურად ვხედავ ხელი, მათ რეაქციებს ვაკვირდები. თუ გინდა, ხალხს უყვარდე, ჯერ შენ უნდა გიყვარდეს ხალხი. წელს საინტერესო იყო მთა ჩირუხის „შუამთობა“, კარგი მუსიკა მოდიოდა. ასევე მნიშვნელოვანი ფესტივალია „გვარამინდობი“, ეს საღვთო ზეიმი ჩვენი კუთხის მტკიცეული ისტორიის გამოძახილია. ამ თემაზე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღე. ღონისძიება, რომელსაც მიჰყავხარ წარსულში, ყველაზე მეტად საინტერესოა. ასეთი „სკინტიჯვარობაც“.

- მარტო კულტურული ღონისძიებების ორგანიზებით არ შემოიფარგლებით. რამდენიმე წიგნის ავტორი მკითხველს რა სიახლეს სთავაზობთ?

- ხანდახან ვფიქრობ, მივატოვო ყველაფერი და კალამს უფრო შემოქმედებითად ჩა-



- მაყურებელი ყოველთვის ობიექტური შემფასებელია. მაკედონიაში მიღწეულ წარმატებას ვის უმაღლით?

- რა თქმა უნდა, ასეთი საქმის უკან დგანან ადამიანები, რომელთა ხელშეწყობითა და დახმარებით მზის სინათლეზე გამოდის ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში. მინდა მადლობა გადავუხადო შუახვევის მერიას, საკრებულოს, კულტურის ცენტრს, შესაბამის ორგანიზაციებს. მადლობას ვუხდით მთიანი აჭარის მაჟორიტარის საქართველოს პარლამენტში ანზორ ბოლქვაძეს, ასევე ჩვენს დებუტატს აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტყარაძეს. ერთობლივი მოწოდებითა და მხარდაჭერით მივაღწიეთ წარმატებას - ფესტივალის ორგანიზატორებმა ანსამბლი რამდენიმე დიპლომითა და გრან პრით დააჯილდოვეს.

- თავიდან ერთ ფესტივალში მონაწილეობა იყო დაგეგმილი, ანსამბლი კი რამდენიმე ქალაქში გამოვიდა.

- მინდა მადლობა გადავუხადო ასოციაცია „ხელოვნების“ ხელმძღვანელს, ბატონ გორა ჭანკვეტაძეს. მისი დამსახურებით მოეწყო ანსამბლის ტურნე ევროპის ქალაქებში. ბატონ გორას, მსოფლიო მასშტაბით, ურთიერთობები აქვს ფესტივლების ხელმძღვანელებთან და სწორედ მისი დამსახურებით მივიღეთ მონაწილეობა რამდენიმე ქალაქში გამართულ ფესტივალში. გველოდებოდნენ სერბეთში, ასევე ბულგარეთსა და მაკედონიის რამდენიმე ქალაქში, მაგრამ დროის უკმარისობის გამო ვერ მოვახერხეთ მონაწილეობა.

- ანსამბლის წევრების საშემსრულებლო ოსტატობაზე რას ამბობდნენ მაყურებლები და ფესტივალის ორგანიზატორები?

- ყველაზე საინტერესო და საამაყო ის იყო, რომ ქართველები ფესტივალის პროგრამაში ბოლოში ჩავსვდნენ, გვითხრეს, თქვენთი მაყურებელს ვინაჩუხებთო. ისინი, თურ-

ვკიდო ხელი, დრო აღარ მრჩება წერისთვის. სამი წიგნი მაქვს დაწვრილი, არ ვიცი, როდის დავასრულებ. ერთ-ერთი „შუახვეური ამბები“ იქნება.

- ქველმოქმედც ბრძანდებით...  
- დიღს ვერაფერს ვაკეთებ, მაგრამ „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირვის“. სიკეთე დაფარული ჯობია, ამიტომ ამ თემაზე საჯაროდ საუბარი არა მაგონია, კარგი საქციელი იყოს. თუ უფალი გაძლევს საშუალებას, ვიდაცას ხელი შეაშველო, ეს დიდი ბედნიერებაა.

- როგორ აფასებთ კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში ბიზნესმენების ჩართულობას?

- მხოლოდ კულტურული საქმიანობა კი არა, დღეს სახელმწიფო ბიუჯეტზე კერძო სექტორზე დგას. როდესაც ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისათვის საქირო ბიუჯეტი არ არის, იმედად ბიზნესმენი და ქველმოქმედი ადამიანები რჩებიან. თუმცა ყველას არ შეუძლია ამის გაკეთება - შეიძლება სალაშქროს რესტორანში ვიდაცამ ათასები დახარჯოს, მაგრამ საშვილოშვილო საქმისთვის ღარი არ გაიღოს. ასეც ხდება. აქვე უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა ქველმოქმედ ლევან მუჟავანაძეზე. ეს პიროვნება არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ ჩვენი კუთხის იმედია თავისი მასშტაბური, უანგარო სიკეთებით.

- წინ კარიერას აყენებთ თუ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას?

- კარიერისათვის არასოდეს მიბრძოლია. ჯერ კიდევ ჩვენი ბრძენი წინამორბედი ამბობდნენ, „სამსახური მდინარის პირას ვაშენებულები ვართ“. ჩამოვივლი ადრეული წყალი და ერთიანად წალექავს“. ეს ჭეშმარიტებაა. დროებითი პრივილეგიები არ მზიდავს. აჭარის ბანთონს თუ გადავხედავთ, ყველა იქ განსვენებულია ადამიანი გამორჩეული კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებით მოიპოვა საბატო განსასვენებელი. შემოქმედება მარადიული ღირებულებაა. მიჩვენია, ერთი კარგი წიგნის ავტორი ვიყო, ვიდრე ტყავა-დაკრულ საგარეოში ვიჯდე და ბრძანებებს ვიძლეოდე, თუმცა ყველას თავისი საქმე აქვს და ყველაფერი საქიროს ამ საწუროში.

- ბოლო დროს სიტყვა „მოღვაწეს“ ზოგი უადგილოდ იყენებს, ანსამბლსაც კი „მოღვაწედ“ თვლიან.

- საზოგადო მოღვაწის ცნებას აზრი დაუკარგეს. ვფიქრობ, საზოგადო მოღვაწე არ შეიძლება ვფიქროთ პიროვნებას, რომელსაც აქვს სოლიდური ხელფასი და ჯამაგირის სანაცვლოდ აკეთებს საქმეს. ბევრი ადამიანი მინახავს, საკუთარ პიჯაკს ჰყიდის, რომ საზოგადოებას რაღაც სარგებელი მოუტანოს. საზოგადო მოღვაწედ შეიძლება ჩაითვალოს პიროვნება, რომელსაც არ აქვს ოფიციალური ვალდებულება ადრეული და თავისი სურვილითა და შესაძლებლობებით, უანგაროდ ემსახურება საზოგადოებას, აკეთებს საქმეს არა საქმეს. ანსამბლი და „საზოგადო მოღვაწე“ ერთმანეთთან შეუთავსებელია.

- რატომ არ ხართ ჩართული საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზეკართან“?

- სადაც ვერ გრძნობ შენი ყოფნის აუცილებლობას ან არ გავგრძობინებენ, იქ არც უნდა იყო.











# როსა ქვეზი საუბრობენ...

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06

ქანდაკების შექმნა ნიჭთან, პროფესიონალიზმთან ერთად დიდ შრომასაც მოითხოვს. მოქანდაკე ხომ ისტორიას ქმნის, რომელიც საუკუნეების მანძილზე იწერება... მოქანდაკე, რომელიც დღეს მინდა გაგაცნოთ, უჩვეულო მასალას იყენებს თავისი ქმნილებებისთვის - **ღაგინი მარმარილო** რიყის ქვიშებით საინტერესო ნამუშევრებს გვთავაზობს, რითაც სოციალურ ქსელშიც პოპულარული გახდა.

**- როგორ და რატომ დაინტერესდით ამ საქმით?**

- ბავშვობიდან მაინტერესებდა. მამა მოქანდაკე მყავს, რომელიც მოსწავლეებს ამეცადინებდა. მეც მათთან ერთად ვიჭევი და ვხატავდი. ხატვა 8-9 წლის ასაკში დავიწყე, შემდეგ ძირწვა და... ქანდაკებამდეც მივდი. მე-9 კლასიდან გამოვედი სკოლიდან და ია-

ვითე, ჩამენაცვლებინა და ქანდაკებების კეთება დავიწყე. პირველი ქანდაკება ქალის ტორსი იყო, რომელიც ჩამდენიმე დღეში გავყიდე. ამან ძალიან დიდი სტიმული მომცა და შემდეგ აქტიურად დავიწყე ქანდაკებებზე მუშაობა.

**- ქვის პოვნისთანავე უკვე გაქვთ იდეა, რას გააკეთებთ?**

- ძირითადად, ქვას ვიპოვი თუ არა, ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ამას თავად ქვის სტრუქტურა მეუბნება. ხანდახან შეიძლება, თავიდან სხვა იდეა მქონდეს, მაგრამ შემდეგ ქვამ მოითხოვს რაღაც დეტალების შეცვლა, ამიტომ მუშაობის პროცესში ქვის გადაკეთება და იდეის შეცვლაც მიწევს.

**- რთულია სამუშაო მასალის პოვნა?**

- მდინარეების ნაპირებზე ვპოულობ ქვევებს. რიყის ქვას ყიდვა არ სჭირდება, მაგრამ დიდ ძალისხმევას საჭიროებს მისი პოვნა. გა-



სი ქანდაკებები ვაკეთო.

**- რამდენად შემოსავლიანი და პოპულარულია ეს საქმე საქართველოში?**

- ძალიან ბევრს მოსწონს, მაგრამ საქართველოში ყველას არ აქვს ფუფუნება, ქანდაკებებში თანხა გადაიხადოს. ვფიქრობ, უცხოეთში გასვლას, ვეცდები, ჩემი ხელოვნება იქაც გავიტანო, თუმცა არ ვიცი, რა გამოვივა. მხატვრების ბაღში რომ ვიდექი, იქ ბევრი ტურისტი მოდიოდა, თუმცა სოციალურ ქსელებში ნაკლები ტურისტი ხედავს ჩემს შემოქმედებას და, შესაბამისად, მათი მხრიდან ნაკლები ინტერესია.

**- ხელოვანი აღამიანები საკუთარი შემოქმედების გარკვეულ ნაწილს არ ყიდვან, რადგან ძალიან ენანებთ, თქვენს შემთხვევაში როგორ არის?**

- ყოფილა ნამუშევრები, რომლებიც დამნანებია, თუმცა შემდეგ უკეთესი გამოიკეთებია. შემოიძლია ვთქვა, არ მაქვს ეს განცდა, რომ რომელიმე სამუშაოდ ჩემთან უნდა იყოს.

**- აბირებთ თუ არა გამოფენის მოწყობას?**

- პერსონალური გამოფენა შარშან შემოდგომაზე მქონდა. თუ დავაგროვე ნამუშევრებ-



ბის საკმარისი რაოდენობა, კვლავ ვაპირებ. ნამუშევრებიდან ბევრი იყიდება და მეტი მიჭირს გამოფენისთვის აუცილებელი რაოდენობით მათი შეკრება.

**- თქვენი ნამუშევრების უმეტესობას ემიგრანტები ყიდულობენ. როგორ ფიქრობთ - რატომ?**

- დიხ, საკუთარი ოჯახისთვის ყიდულობენ. სოციალური ქსელთი მიკავშირდებიან და ისე იძენენ. ამერიკის გარდა, ჩემი საკმაოდ ბევრი ნამუშევარი იტალიაში, გერმანიაში და რუსეთშიცაა. ეს ფაქტი ძალიან მეამაყება, რადგან ჩემი ნამუშევრებით თითქოს საქართველოს რაღაც ნაწილს ვატან და მათთან რჩება სამუდამოდ.

**- თქვენი ოცნება...**

- ვოცნებობ, რომ საქართველოში ჩემი შექმნილი ერთი ქანდაკება მაინც დაიდგას.



კობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში ქანდაკების ფაკულტეტზე ჩავაბარე. სტუდენტობის პერიოდში სამების ეკლესიის მშენებლობაზე სამუშაოდ წავედი და ქვის დამუშავებაც იქ ვისწავლე.



**- მამა როგორ აფასებს, მის კვალს რომ გასწევით?**

- მამა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში ასწავლიდა და ჩემი პედაგოგიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან ყველაზე კარგად იცოდა, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ქანდაკების შექმნა, გვერდით მედგა, თუმცა ხშირად მახსენებდა, რომ საკმაოდ შრომატევად საქმეს შეგვიძლია.

**- პირველი ქანდაკება როგორ შექმენით?**

- მამა მშრალ ხილზე იდგა და იქ ყიდდა საკუთარ ნამუშევრებს, მაგრამ როდესაც ავად გახდა და ღვთის ველარ შეძლო, გადავწყ-

ნსაკუთრებით მიყვარს არაგვის პირას სიარული და ძებნა, რადგან იქ ბევრად ლამაზი ქვებია, ვიდრე სხვაგან. რიყის ქვების გარდა, ქანდაკებებს ბრინჯაოსა და მარმარილოსგანაც ვაკეთებ.

**- რამდენად რთულია თქვენთვის ეს საქმე?**

- ჩემთვის რთული აღარაა, რადგან ქვასთან შენება წლებია, მაქვს. ზოგადად კი რთული საქმეა, მთელი დღე მტვერში უწევს მოქანდაკეს ყოფნა. შეიძლება მთელი დღე თალო ქვა და ბოლოს არ გამოვიდეს ის, რაც გინდოდა. ყველაფერთან ერთად ქვის თლა ჯანმრთელობისთვის საფრთხილოცაა. მუშაობისას აუცილებლად პირბადე უნდა გეკეთოს, რათა მტვერი არ ჩავიდეს ფილტვებში, სათვალეც უნდა გაიკეთო, თვლები რომ არ დაგიზიანოს ქვის ნატეხებმა, თუმცა მე ძალიან მიჭირს პირბადის და სათვალის ერთად გამოყენება.

**- დღის განმავლობაში რა დროს უთმობთ მუშაობას?**

- ხანდახან მთელი დღე, ხანაც ნახევარი დღე. ყველა შემთხვევაში, მტვრის გამო ღია სივრცეში უნდა გაითალოს ქვა, ამიტომ ამინდზეც ვარ დამოკიდებული. ზედმეტი სიცივე და სიხე ძალიან მაწუხებს და ხელს მიშლის საქმის კეთებაში.

**- უფრო ხშირად რა შეკვეთებს იღებთ მომხმარებლებისგან?**

- უმეტეს შეკვეთებს ოჯახის ქანდაკებებზე ვიღებ, რადგან მომხმარებლები საკუთარი ოჯახის წევრებს ხედავენ ამ ქანდაკებაში.

**- რა პროცენტებს გადის ქვა, ხანამ ქანდაკებად იქცევა?**

- ჯერ ქვა ითლება, შემდეგ დეტალები იძირდება, შემდეგი ეტაპი ბრინჯაოს ჩასხმა და დამუშავებაა, შემდეგ ქვის გაპირალება და ბოლოს თითოეული დეტალი თანმიმდევრებით იწყობა.

**- აქტიური ხართ სოციალურ ქსელში. ეს არის ის ადგილი, სადაც თქვენი ნამუშევრების რეალიზაცია ხდება?**

- ასეა, დღეს საკუთარი ნამუშევრების რეალიზაციას სხვადასხვა სოციალური ქსელის ჯგუფებიდან ვახდენ. ეს არის ჩემი შემოსავლის წყარო და ბევრი ჯგუფის ადმინისტრატორიც უანგაროდ მენმარება ამაში, რისთვისაც მათ მადლობა მინდა გადავუხადო.

**- გაძლევთ სტიმულს საზოგადოების მხრიდან დაინტერესება?**

- ჩემთვის ეს ძალიან დიდი სტიმულია, მაძლევს ძალას, რომ უფრო და უფრო უკეთე-

